გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 40
2024 წლის 11 მარტი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტში, გორი-კავთისხევის გზიდან სოფელ ქვახვრელის მისასვლელ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე საგზაო მაფრთხილებელი ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქვახვრელის ადმინისტრაციული ერთეულიში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის ქვახვრელის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ქვახვრელში ახლად მოწყობილ შიდა საუბნო გზაზე მკვეთრი მოსახვევის ექვსი ერთეული ნიშნის განთავსება.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მიზანშეწონილად მიიჩნია გორის მუნიციპალიტეტში, გორი-კავთისხევის გზიდან სოფელ ქვახვრელის მისასვლელ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე განთავსდეს სამ-სამი ერთეული საგზაო მაფრთხილებელი ნიშნები1.12.1 და 1.12.2 „სახიფათო მოსახვევი“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტში, გორი-კავთისხევის გზიდან სოფელ ქვახვრელის მისასვლელ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე განთავსდეს სამ-სამი ერთეული საგზაო მაფრთხილებელი ნიშნები1.12.1 და 1.12.2 „სახიფათო მოსახვევი“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტში, გორი-კავთისხევის გზიდან სოფელ ქვახვრელის მისასვლელ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე განთავსდეს სამ-სამი ერთეული საგზაო მაფრთხილებელი ნიშნები1.12.1 და 1.12.2 „სახიფათო მოსახვევი“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე